ცნობის ფურცელი

№ 2268 პარასკევი 19 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2268

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 60 კ. ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: უკანასკნელ სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატალია ივანის ასული მაჭარაშვილისა აუწყებს გარდაცვალებულის ძვირფასის მეუღლის ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზის

გრიგოლ მაჭარაშვილის

ნათესავთა და ნაცნობთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 21 ენკენისთვეს სოფელ ალის ეკკლესიაში. (სადგურის გომი ანუ ხაშური). (1—154—1).

ალექსანდრა სიმონის ასული და **შალიკო ივანის ძე ცინცაძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი შვილის

ვალერიანისას,

რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, 21 სექტემბერს, დ. ლანჩხუთში. (2—1)

მასაჟის და საექიმო გიმნასტიკის

კურსები

ბედევანიშვილის სამკურნალოში

15 ოქტომბრიდან

მასაჟი — გ. სობოლევსკი.
ფიზიოლოგია — ქ. ფედოროვი.
ანატომია. — ა. მაღალაშვილი.

(8—5.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

პ. ჯიჯინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოვი—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10—11.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილისა, 10 ს.—11 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მოჩინი—ქალისა, სამშობ. და ბავშვ. (მემოწმეს ძიძებისა) ოთხშ., პარასკ. და კვირ. 11—12.

დ. ა. ბედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოხელიანი—ქალისა და სამშობ., სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.

ვრ. გ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშ., ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათ.

გ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს თვით საწოლ-კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიამინოვსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეოთხე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7 მდე. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების"

კავკავის სკოლაში განთავისუფლებულია მასწავლებლის

ადგილი.

ჯამაგირი წლიწადში 420 მან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ტფილისში საზოგადოების გამგეობას თხოვნით და საჭირო საბუთებით. (3—უ—1)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე; საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5—14)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ოფიციოზური გაზეთი „პრეს ასოსიეშენ"-ი სწერს: ბალფური გავლენიან კაცის მიწვევას აპირობს, უნდა, რომ ძლიერი სამინისტრო შეადგინოსო. „დეილი მეილ"-ს შეუტყვია, მთავრობას იმედი აქვს, მომავალ სესიის დროს ბევრ კანონ-პროექტს დაამტკიცებინებს პარლამენტსაო, მაშასადამე, საზოგადო არჩევანი ერთ წელიწადზე ადრე არ მოხდებაო. მაგრამ ყველა გაზეთი ამ თვალით როდი უყურებს საქმეს. ბალფური სულ ისეთ კაცებს ჰნიშნავს მინისტრებად, რომ იმისი სამინისტრო „მინისტრთა ამხანაგების" სამინისტროს უფრო ეგვანება, ვიდრე ნამდვილ სამინისტროსაო. ამიტომ გაზეთებს არა აქვთ იმედი, რომ ასეთმა სამინისტრომ ხალხის ნდობა მოიპოვოს. „ტაიმ"-სი სწერს, თუ მთავრობას უნდა, რომ ძალა და გავლენა მოიპოვოს, უსათუოდ გარკვეული და მედგარი პროგრამა უნდა შეიმუშაოსო. პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, მთავრობა მალე მოახდენს საზოგადო არჩევანსაო. ჯოზეფ ჩემბერლენი მალე აგიტაციას გამართავს საარჩევნო ოლქებში; რამწამს ჩემბერლენი ამ აგიტაციას გაათავებს, მთავრობაც მაშინვე საზოგადო არჩევანს დაჰნიშნავსო.

◆ „მატენ"-ის ლონდონელ კორესპონდენტს ვითომ სარწმუნო კაცებისაგან შეუტყვია, თითონ მეფე ედუარდიც ჩემბერლენის პროექტის წინააღმდეგიაო; ამ დღეებში მეფეს ეთქვა, პურსა და სანოვაგეზე ბაჟის დადება ინგლისისათვის საზარალო იქნებაო.

საფრანგეთი. გაზეთები კიდევ ბევრს სწერენ მაროკოს საქმეზე. ჟორესი სწერს „პტი რეპუბლიკ"-ში, რაც კი მაროკოში ჯარის გალაშქრებაზე დავსწერე, თავიდან ბოლომდე სულ მართალიაო. უმაღლეს სამხედრო წრეებს უსათუოდ ომი სწადიანთო. „ტან"-ის ალჟირელი კორესპონდენტი სწერს, ალჟირელი ვაჭრები და იჯარადრები ათას ჭირს იგონებენ და საფრანგეთის საზოგადოებას თვალს უხვევენო. მაროკოში დიდის ჯარის გალაშქრება სულ უსარგებლო იქნება; ჯარი ვერას გააწყობს მაროკოში. ალჟირში მცოდნე და გამოცდილი ხალხი იმ აზრისანი არიან, რომ საფრანგეთმა მარტო თავისი სამფლობელო უნდა დაიცვასო. საფრანგეთმა სამხრეთ-ორანის საზღვარი უნდა გაამაგროს და მაროკოს ტომები მოიგეროს. მაგრამ ჯარის გალაშქრება კი ტყუილი საქმე იქნებაო.

◆ პარლამენტის სესიის დახურვამდე დეპუტატთა პალატის კომისიამ თავის უმთავრეს მომხსენებელს სოციალისტ დეპუტატს ბრიანს დაავალა, საპარლამენტო კანიკულების დროს ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების თაობაზე პროექტი შეადგინეთო. ბრიანს დაუსრულებია ეხლა ეს პროექტი და კომისიის თავმჯდომარე ბიუისონისათვის წარუდგენია. ბრიანის პროექტის უმთავრესი მუხლები ამნაირია: ყველას სრული სარწმუნოებრივი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, სარწმუნოებრივი საზოგადოებანი სახელმწიფო კანონებს უნდა ექვემდებარებოდნენ და სახელმწიფო დაწესებულებათ არა კლერიკალური, საერო ხასიათი და ფერი უნდა ჰქონდეთ ამ პროექტს კომისიის ყველა წევრს გაუგზავნიან.

ავსტრო-ჰუნგრეთი. დეპეშებიდან გეცოდინებათ, რომ ჰუნგრეთის სეიმში დიდი შფოთი და ალიაქოთი მოხდა იმ დროს, როცა პირველმა მინისტრმა კუენ-ჰედერვარიმ ლაპარაკი დაიწყო. კოშუტის პარტიის წევრმა ბარაბაშმა დიდი შეურაცხყოფა მიაყენა პირველ მინისტრსაც და თითონ ჰუნგრეთის მეფეს ფრანც-იოსებსაც. ბარაბაშმა დაიყვირა: ამას იქით ავსტრიაში არ ვენდობით მეფესაო. ლიბერალებს ძლიერ ეწყინათ ბარაბაშის საქციელი და მთელმა პარტიამ ერთხმად პროტესტი გამოუცხადა მკაცრ დეპუტატს. საქმე ასე ყოფილა. კუენ-ჰედერვარიმ ლიბერალები თითქმის მოარიგა ერთმანეთში. ძველ ლიბერალების ჯგუფები შერიგდნენ და ისევ შეერთდნენ; ამათ მალე არისტოკრატიულ კლუბის პარტიაც მიემხრო. ამის შემდეგ სელის შემწეობით აპონიის ჯგუფიც-კი შერიგეს. შეერთებულმა ლიბერალურმა პარტიამ სამხედრო მოთხოვნილების პროგრამა შეიმუშავა და პოლკებში ჰუნგრულ ენის შემოღებაზე ხელი აიღო. ასე რომ კუენ-ჰედერვარიმ, ცოტა არ იყოს, საქმე მოაწყო, ეგ არის კოშუტის პარტია ვერას გზით ვერ დაიყოლია და ვერ შეირიგა. კოშუტის პარტიას ლიბერალებისა და მთავრობის მორიგებაც ძლიერ ეწყინა; როცა დამოუკიდებლობის პარტიამ ამ მორიგების ამბავი გაიგო, მაშინვე გადაჭრით გამოაცხადა, ჩვენი პარტია არაფრის გულისათვის არ შეურიგდება მთავრობასაო. ბარაბაშიც ამ მიზეზით მოიქცა ასე მკაცრად და ლიბერალებმაც ამიტომ ერთხმად გამოუცხადეს პროტესტი.

სერბია. გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რომ საზოგადო არჩევანში 80 ზომიერი რადიკალი აურჩევიათ, 56 უკიდურესი რადიკალი და 15 ლიბერალი.

რადიკალების ორსავ ჯგუფს მოლაპარაკება აქვთ გამართული, შევერთდეთ, რომ ახალ მთავრობას დიდი უმეტესობა ჰყავდეს საერო კრებაშიო. ამ შეერთებაზე ჯგუფების მეთაურებმა პაშიჩმა და ჟივკოვიჩმა მოილაპარაკეს. უკიდურესი რადიკალები თხოულობენ, პარტიიდან 13 ზომიერი რადიკალი გამორიცხოსო, იმათ შორის პაშიჩი, ვუიჩი და ველიმიროვიჩი; პირველი იმის გულისთვის უნდა გამოირიცხოს, რომ მეფე მილანს სულმდაბლად დაემორჩილა, ვუიჩი და ველიმიროვიჩი კიდევ იმაზე უნდა განიდევნენ, რომ მეფე ალექსანდრეს მოურიგდნენ და სახელმწიფოს საქმეებს ძალით შედგენილ საერო კრების შემწეობით ჰმართავდნენო. ზომიერებმა ჯერ არ იციან, როგორ მოიქცნენ; ორივ ჯგუფი საზოგადო კრებას მოახდენს და, ალბად, მორიგების საქმეც მაშინ გადასწყდება საბოლოოდ.

მაკედონია. 11 სექტემბერს პეტერბურგში მაკედონელ ემიგრანტების დელეგატები, სოფიის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი ლიუბომირ მილეტიჩი და დოქტორი გეორგოვი მისულან. დელეგატები გარეშე საქმეთა სამინისტროშიაც ყოფილან. დეპუტატები მარტო ფულით დახმარებას თხოულობენ გაჭირვებულ მაკედონელ ხალხისათვის. მაკედონიაში 130 სოფელი დასწვეს ოსმალებმა და 100 ათასი სული, მომეტებულ ნაწილად სულ მოხუცებულები, ქალები და ბავშვები, უსახლ-კაროდ და ულუკმა-პუროდ არიან დარჩენილნი. ამ უბედურ ხალხისათვის ყველა ქვეყნებში ფულსა ჰკრებენ. ყველაზე მეტ ფულს თურმე ინგლისელები სწირავენ. ჩეხიაშიაც დიდ ფულსა ჰკრებენ თურმე. მაგრამ არ იციან, ეს ფული ვისის ხელით გადასცენ გაჭირვებულ მაკედონელებს. ბოლგარიის მთავრობა, ეკკლესია და ქველ-მოქმედი საზოგადოება, ცხადია, ოსმალეთის რიდით, თითონ ვერ იკისრებენ ამ საქმეს. ერთად-ერთი საშველი ისაა, რომ ევროპის კონსულებს ნება მიეცეთ, ეს ფული მიიღონ ხოლმე და ხალხს დაურიგონ. აი, სწორედ ამ საქმეზე მოსულან ბ. ბ. მილეტიჩი და გიორგოვი დელეგატები პეტერბურგიდან ბერლინსა და ლონდონში აპირებენ წასვლას.

ახალი ამბავი

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, გამგეობამ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გადაიხადა პარაკლისი **დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის** ჯანმრთელობისათვის. პარაკლისს დაესწრნენ: ქალაქის მოურავი, ხმოსნები, ქალაქის გამგეობის მოხელენი და სხვანი.

◆ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია **მთავარ-მართებლის მიერ გამოცემული ორი სავალდებულო დადგენილება**, ერთი განჯისა, შუშისა და ნუხისათვის, ხოლო მეორე ყარსისათვის. „1. სასტიკად აკრძალულია ქუჩებსა, მოედნებსა, ბაღებსა, სადგურებსა და სხვაგან შეკრება მოსალაპარაკებლად ან წესიერების წინააღმდეგ სამოქმედოდ; აკრძალულია აგრეთვე ცნობის მოყვარეთა თავმოყრა. 2. შეკრებილნი პოლიციის პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა დაიშალნენ. 3 ვინც პოლიციის ბრძანებას დაუყოვნებლივ არ დაემორჩილება, იმას ადმინისტრატიულის წესით გადახდება ჯარიმა, 500 მანეთამდე, ან დაპატიმრებულ იქნება 3 თვემდე. სასჯელის დაწესება დაევალა ადგილობრივ გუბერნატორს. 4. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევიდა 16 სექტემბრიდან".

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ თელავისა, გორისა, ბორჩალოსი, ახალციხისა, ახალქალაქისა და თიონეთის მაზრების, აგრეთვე ზაქათალის ოლქის მცხოვრებთ უკვე გააწერეს **სახელმწიფო-მამულთა და სახელმწიფო სათავადო გადასახადები**. გადასახადების გამლებთ ეუწყათ ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს. შეიძლება გადასახადის გაწერის დროს შეცდომა მოხდა რამე, ამიტომ ყველას ნება აქვს, ამ შეცდომის შესახებ ქაღალდი შეიტანოს საკრებულოებში 15 ოქტომბრამდე. სოფლის საზოგადოებებმა ეს საქმე თავიანთ რწმუნებულთ უნდა მიანდონ.

◆ **ჭიათურა.** შავი ქვის მრეწველობას გამოცოცხლება დაეტყო: გააქვთ როგორც

ახლად, ისე ძველად დამუშავებული ქვა. ამას წინად ქუთაისში იყო ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების მმართველი, რომელმაც საბჭოს წევრთ განუცხადა, რომ სასურველია ქიათურაში მოეწყოს ქვის გაზიდვა დიდ ბანკების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად, აზოვ-დონის ბანკი და სხვა. ეს ბანკები ადგილობრივ იყიდიან დამუშავებულ მადანს და თვითონ გაიტანენ გასასყიდად ბაზარზე. პირველად ქვის პატრონს მისცემენ ღირებულობის ნაწილს; გაყიდვის შემდეგ-კი—ქვის მთელ ფასს და მოგებასაც, იმის მიხედვით, თუ როგორ გაიყიდება ქვა ბაზარზე.

◆ გუშინ სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე **ჩვენის გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის ალ. გ. ჯაბადარისა**, რომელსაც ქუთაისური პოლიციელი ქავთარაძე უჩიოდა, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამაო. ა. **ჯაბადარის** ვექილმა გ. რცხილაძემ მოითხოვა საქმის გადადება, რათა წარედგინა იმ საქმის პირი, რომლითაც მომრიგებელ-მოსამართლემ გაამართლა მოსწავლენი. მოსწავლეების წინააღმდეგ საქმე ქუთაისის პოლიციამ აღძრა. უჩიოდა, ვითომ მოსწავლეებს შეურაცხჰყოფა მიეყენებინოთ პოლიციის მოხელეთათვის. მოსამართლესთან, პირიქით, გამოირკვა, რომ ქავთარაძესა და იმის ამხანაგებს, როგორც „ცნ. ფურც."-ში იყო დაბეჭდილი (ამისათვის უჩივის ქავთარაძე რედაქტორს) ეცემნათ მოსწავლეთათვის.

◆ გუშინ, 18 სექტემბერს, ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ მაზრის უფროსებმა სისრულეში მოიყვანონ საგუბერნიო გამგეობისა და საგლეხო საქმეთა საკრებულოს 29 აგვისტოს გადაწყვეტილებანი **სახელმწიფო გლეხთა** საქმეების საგლეხო საქმეთა საკრებულოში გადაცემის შესახებ. ის საქმეები ანუ ქაღალდები, რომელიც მიუღიათ 1903 წლის 1 სექტემბრამდე, უნდა გადაეცეს საგუბერნიო გამგეობას, ხოლო პირველ სექტემბრიდან მიღებული საქმეები კი—საგლეხო საქმეთა საკრებულოს. რაც შეეხება მაზრის უფროსების მიერ მომრიგებელ შუამავლთათვის საქმეების გადაცემას, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე უნდა უსათუოდ დასრულდეს გადაცემა. ამას გარდა საგუბერნიო გამგეობამ მიწერილობაში განმარტა, რომ სოფლის სამმართველოები ყველა საქმეებში მომრიგებელ-შუამავლებს ექვემდებარებიან, ხოლო საპოლიციო საქმეებში—მაზრის უფროსებს. ყველა ის საქმეები, რომლებითაც რაიმე დანაშაულობისათვის სისხლის სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნი სოფლის მოხელენი, ამიერიდან უნდა აწარმოვოს საგლეხო საქმეთა საკრებულომ.

◆ „პეტ. ვედ"-ში დაბეჭდილია **საყურადღებო წერილი** ამ სათაურით „Переселенцы на Кавказѣ"; შინაარსს ხვალ გავაცნობთ მკითხველებს.

◆ როგორც გვესმის, ტფილისის საკომერციო სასწავლებელში **ქართულ ენის სწავლება** ოთხ კაცს აქვს განაწილებული. სულ არის 17 გაკვეთილი. 2 გაკვეთილს აძლევს ალექსი მირიანაშვილი, 6—ივანე როსტომაშვილი, 4—კალანდაძე და 5 აბულაძე. სომხური ენისა არის 40 გაკვეთილი (რადგან კლასებში მეორე განყოფილებებია) და სამს მასწავლებელსა აქვს განაწილებული.

◆ როგორც „კავ". სწერს, **ტფილისის გუბერნატორს** ი. ნ. სვეჩინს საზღვარ-გარეთიდან ტფილისში 2 ოქტომბერს მოელიან.

◆ ორშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში მოხდება **საზოგადო კრება** რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა. ა. მ. ზავადსკი წაიკითხავს მოხსენებას ანდიის კოისში მოგზაურობის შესახებ. არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

◆ **მეღვინეობის მთავარ კომიტეტის** კომისიებმა პეტერბურგში განიხილეს ახალი პროექტი კანონისა ღვინის შესახებ. როგორც ვუწყით, დღეს ღვინოს დიდძალ შაქარს ურევენ; ახალი კანონი აი სწორედ ამას შეეხება. სატეხნიკო და საეკონომო კომისიების შეერთებულ კრებას მეღვინეობისათვის საზარალოდ უცვნია შაქრის შერევა, რადგან ასეთი ნარევი ღვინო აფერხებს წმინდა ღვინის გავრცელებას. ამას გარდა შაქრის წყალობით ვერც ღვინის ტიპები შეუმუშავებიათ. შეერთებულ კრების აზრით, რუსეთში სრულიად უნდა აიკრძალოს ღვინოში შაქრის შერევა. შაქარი იმ ადგილებში უნდა იხმარონ მხოლოდ (ბესარაბიის გუბ. და დონის ოლქი), სადაც ყურძენი საკმაოდ ვერა მწიფდება.

◆ მთავრობას აზრადა აქვს, ორთაჭალაში, ძველ სატუსაღოსთან **დიდი ახალი საპყრობილე** აიგოს. ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო გამგეობა უკვე შეუდგა გეგმის შემუშავებას.

◆ ტფილისის **საფოსტო-სატელეგრაფო** ოლქის უფროსი ლინდენი 17 სექტემბერს ტფილისს დაბრუნდა შავის ზღვის პირას არსებულ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა რევიზიიდან.

◆ 16 სექტემბერს **ქუთაისში გარდაიცვალა** ადგილობრივ დრამატიულ დასის მსახიობი ქალი ელისაბედ გვეტაძე. განსვენებული მესხიშვილის დასში მუშაობდა. გუშინ-წინ ტფილისიდან ქართველმა მსახიობებმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს განსვენებულის ქმრისუფალთ.

◆ ტფილისის სავაჭრო პოლიციის მესამე ნაწილის აგენტმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ნაძალადევში ზოგიერთმა მცხოვრებლებმა მიითვისეს ქალაქის ის მიწები, რომელზედაც გამგეობას განზრახული ჰქონდა ქუჩების გაყვანა.

◆ ხმოსანმა ქანანოვმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, კრწანისში დასდგას 4 ფარანი.

◆ ტფილისის საგუბერნიო გამგეობისა და ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, 15 სექტემბრიდან საკანცელარიო გადასახადი (პოშლინა) უნდა გადაახდევინონ ხოლმე თითო ფურცელზე 20 კაპ. ნაცვლად 50 კაპეიკისა.

◆ ხორცის დუქნების გამგე-კომისიამ მისწერა დუქნების საქმეთა მმართველს, რომ კომისიამ ნება დართო ვასილ ხომასურიძეს, შარაძეს და მნაცაკანოვს ქალაქის დუქნიდან წაიღონ ხოლმე ხორცი ფუთი 20 კაპეიკით ნაკლებად და თავიანთ დუქნებში ჰყიდონ იმ პირობით კი, რომ დუქნები სუფთად მოაწყონ და იმ ხარისხებად ჰყიდონ ხორცი, როგორც ქალაქის დუქნებშია. წინააღმდეგ შემთხვევაში, აეკრძალებათ ქალაქის დუქნებიდან ხორცის გატანა,

◆ ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოს საბჭომ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ის 300 მან., რომელიც საბჭომ დაუნიშნა.

◆ 17 სექტემბერს ავჭალიდან მომავალ საქონლის მატარებელს შუა გზაში ცეცხლი გაუჩნდა. მატარებელი უკანვე დაბრუნდა. გამოირკვა, რომ ერთი საქონლით სავსე ვაგონი დამწვარიყო. მიზეზი ვერ გაიგეს.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „სიმონას თავ-გადასავალი", მოთხრობა გიგო ხუციშვილისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. ფასი ერთი აბაზი.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა სთხოვა პოლიცმეისტერს, დაავალოს ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნონ მედროგეებს, რომ დროგები მხოლოდ იქ დააყენონ ხოლმე, სადაც მიჩნეული ადგილი აქვთ. განსაკუთრებით ნება არ უნდა მიეცეთ მედროგეებს მოედანზე დროგების გაჩერებისა, რადგან სოფლიდან შემოსულ ხანოვაკის პატრონნი ხელს უშლიან.

◆ პოლიციის 1 ნაწილის პეტროვსკის ქუჩის მცხოვრებნი გუშინ საერთო თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში და სთხოვეს ამ ქუჩის მოკირწყვლა. ქუჩის მოსაკირწყლავად საჭირო ფულის ნახევარს თვით მცხოვრებნი კისრულობენ.

◆ გუშინ ტემგენტის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას, გაუგზავნოს სავალდებულო დადგენილებანი, საჭირო პოლიციის სახელმძღვანელოდ გამოცემული, და ქალაქის გამგეობის ინსტრუქციის ერთი ცალი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის თვით-მმართველობის მოხელის აწ გარდაცვალებულ გიორგი ბახტურიძის ქვრივის მარიამის განცხადება. ქვრივი თხოულობდა პენსია დამინიშნეთ ქმრის 24 წლის მუყაით სამსახურისათვისაო. გამგეობამ ბახტურიძეს დაუნიშნა 150 მან.

◆ მხატვრის ბუდნიკის მოსწავლე 14 წლის ალექსი ვავილონოვი გუშინ-წინ გაუფრთხილებლობისა გამო მირზოევის სახლის მესამე სართულიდან გოლოვინის პროსპექტზე გადმოვარდა და იქვე სასიკვდილოდ დაშავდა.

◆ ნაფიცმა ვექილმა ამირხანოვმა განუცხადა პოლიციას, რომ მთაწმინდის ქუჩაზე ჩემი სახლიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მომპარა 277 მან. ეჭვი მიიტანეს მზარეულზე, მელიტონ საყვარელიძეზე, რომელიც დააპატიმრეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ ამა წლის მაისში დაადგინა, უმაღლესად ნაბოძები ყოველ-წლიური 20 ათასი მანეთი შეუერთოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყოველ წლიურ 20 ათას მანეთს, რომ ერთად დააარსონ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი. კრებამ ამ საგნის შესახებ ტფილისის თავად-აზნაურობასთან მოსალაპარაკებლად და პირობების შესამუშავებლად ამოირჩია კომისია, რომელმაც თავად-აზნაურთა მომავალ საგანგებო კრებას უნდა წარუდგინოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა მოლაპარაკებას.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შეუწყნარებია ქუთაისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა და ნება დაურთავს, რომ ქალაქმა სავაჟო გიმნაზიის ვალი 11,000 მ. ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს 9 წლის განმავლობაში.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ 16 სექტემბრისათვის მოიწვია დეპუტატთა საკრებულოში ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრები, სკოლის ინსპექტორი და რამდენიმე მასწავლებელი სკოლის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლოს დროს სკოლის მდგომარეობა ძლიერ შერყეულია: მეხუთე კლასის გახსნის ნება-რთვას თხოულობდნენ და უარი მიიღეს. საჭიროა, რომ სამზრუნველო კომიტეტმა მართლა იზრუნოს სკოლაზე და ეს ერთად-ერთი ჩვენის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისთვის ხელმისაწვდენი სასწავლებელი შეურყეველ ნიადაგზე დააყენოს.

◆ თუ რამდენად შეუცდომელად აღნიშნავს ეგზამენზე გამოცდა ყმაწვილის ცოდნას, ერთის შემდეგის მაგალითიდანაც ჩანს, აგვისტოს უკანასკნელ რიცხვეში გიმნაზიაში მიიყვანეს საეგზამენოდ ერთი ყმაწვილი, რომელსაც მოსამზადებელ კლასში უნდა დაეჭირა ეგზამენი. ყმაწვილი შვენივრად მომზადებული იყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო თითქმის ყველა საგნებში ჩაიჭრა. მეორე დღეს იგივე მოწაფე მიიყვანეს რეალურ სასწავლებლის მოსა-

---

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

XV

მოსამართი ჰაეროსტატი.—ჩემბერლენის დაცემა და განხეთქილება უნიონისტების პარტიაში.—ინგლისში აგიტაცია ძლიერდება.—სასკოლო კანონს მშვიდობიან წინააღმდეგობას უწევენ.—ამბოხება მაკედონიაში და ევროპის გულ-გრილობა.—საზოგადოების თანაგრძნობის პირველი ნიშნები.

გუშინდელი საღამო—ისტორიული საღამო იყო ლონდონის ცხოვრებაში. ჯერ ერთი რომ საღამოს ხუთისა და ექვსის საათის შუა ქალაქ ზემოდ მოსამართი ჰაეროსტატი (ჰაერში მფრინავი ბურთი) დაფრინავდა, მეორე კიდევ ისა, რომ საღამოს კლუბებსა და გაზეთების რედაქციებს ელვასავით დაურბინა ამბავმა, რომ ჩემბერლენი სამსახურიდან გადადგა ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, დაეცა, და ფინანსთა მინისტრი რიჩი და ინდოეთის საქმეთა მინისტრი ლორდ გამილტონიც თან გადაიტანა.

ის ჰაეროსტატი, რომელიც ქალაქ ზემოდ დაფრინავდა, ახალსა და ორიგინალურ რასმეს არას წარმოადგენს; გრაფ ზაპელინის ჰაეროსტატის მსგავსადაა გაკეთებული. გრაფ ზაპელინი თავის ჰაეროსტატით ამ სამის წლის წინად კონსტანის ტბას ზემოდ დაფრინავდა. სანტოს-დიუმონმა საფრანგეთში იფრინა ამნაირისავე ჰაეროსტატით და ეხლა ინგლისში ბ-ნი სპენსერი, დიდი ფილოსოფოსი-კი არა, უბრალო სპენსერი, განაგრძობს ამ საქმეს. რაღა თქმა უნდა, ჩვენც ვერ უარვყოფთ ამათ თავგანწირულ გამბედაობას, მაგრამ დიუმონის ცდასავით, გუშინდელმა სპენსერის ფრენამაც ის დაამტკიცა, რასაც დიდი ხანია ამბობენ: ჰაეროსტატი რა ფორმისაც უნდა გააკეთონ, რა ფირმისაც უნდა გააკეთონ, რა ნაირი ამმოძრავებელი მანქანაც უნდა გაუმართონ, მხოლოდ მაშინ ემორჩილება კაცის ნებას, როცა მეტად დაწყნარებული ჰაერია და ნამცეცი ქარი არა ჰქრის; ესეთი წყნარი ჰაერი კი მეტად იშვიათადაა ხოლმე. მართლაც და გუშინ მშვენიერი ამინდი იდგა, თითქმის ნამცეცი ქარი არა ჰქროდა. მარტოდ წყნარი სუმბუქი ნიავი უბერავდა ე გემების იალქნებზე ბაირაღებს ოდნავ აძრევდა. ვსთქვათ, მაღლა ჰაერში უფრო ღონიერი ქარი იქნებოდა, მაგრამ მაინც ისეთი სუსტი ქარი ჰქროდა, რომ ბ-ნი სპენსერი ბროლის სასახლიდან გამოფრინდა, წმ. პავლეს ტაძრამდე 10 ვერსტი იფრინა, ტაძარს გარს შემოუარა და უკან დაბრუნდა. ტაძრამდე მშვენივრად მიფრინდა, ქარსაც კარგა ებრძოდა, სიჩქარითაც საკმაოდ ჩქარა იფრინა: 1/4 საათში 10 ვერსტი გაიარა. მაგრამ როცა ჰაეროსტატმა ტაძარს ირგვლივ შემოუარა და უკან გამობრუნდა, ქარმა ხელი დაჰკრა და თუმცა ჰაეროსტატის მმართველი სპენსერი მეტად ხელოვნურად ჰმართავდა ჰაეროსტატს, და ამმოძრავებელ მანქანას ძლიერ ამუშავებდა, ჰაეროსტატი მაინც ქარს ნელ-ნელა თავის ნებაზე მიჰყვანდა.

მართალია, ეს დამარცხებად ჩაითვლება, მაგრამ ეს დამარცხება აფრთოვანებს კაცს და იმედს უღვიძებს, რომ დამარცხებას მალე გამარჯვებაც თან მოჰყვება. თუ ბურთის მსგავს ჰაეროსტატით არა, სხვანაირად როგორმე მაინც კაცობრიობა უსათუოდ დაიმორჩილებს ჰაერს, ისე როგორც ოკეანე დაიმორჩილა. ჰაერში მოძრაობის საქმე გადასწყვეტზეა მიმდგარი. საქმე ძლიერი და სუმბუქი ამმოძრავებელი მანქანაა. ეხლა საუკეთესო მანქანა 25 გირ. იწონის, ორის ორთქლის ძალის ოდენა ღონე აქვს, მაგრამ ეს საკმარისი როდია, ამ სუმბუქ მანქანას უფრო გააჩატებენ და უფრო დიდ ძალას მისცემენ. ეს არ გაუჭირდებათ ტეხნიკებს, რადგან ამ საქმეზე ბევრი ხალხი მუშაობს ყველა ქვეყანაში. „ის კი, რაზედაც ბევრნი ჰფიქრობენ და მუშაობენ, მეცნიერების ასპარეზზე იქნება, ტეხნიკასა, თუ პოლიტიკაში, ადრე თუ გვიან, უსათუოდ ასრულდება,"—ვფიქრობდი გუშინ, როცა ვუცქეროდი, უშიშარი ჰაერონავთი (ჰაერში მფრინავი) რა ამაოდ ცდილობდა ჰაერის დაძლევას.

ჩემბერლენის სამსახურიდან გადადგომის ამბავმა ხომ უფრო მეტი იმედი გაუღვიძა პროგრესის მეგობრებს, რომ ცოდნა, სიმართლე და კაცთ-მოყვარეობა გაიმარჯვებსო. არა თუ მარტო რადიკალებსა, ლიბერალებსა და ჩემბერლენის სხვა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს მოეშოთ გულზე დარდი, თვით დიდძალ უმეტესობას, რომელიც პოლიტიკას არ მისდევს, თვით კონსერვატორებშიაც ბევრს გაუხარდა, რომ ჩემბერლენი მთავრობას მოშორდა, რადგან სწორედ ამ კაცმა ასტეხა სამარცხვინო, უსარგებლო და სასტიკი ომი მშვიდობიან გლეხ-კაცებთანა და იმათ უმწეო ცოლ-შვილთან. კოლონიების მინისტრის დაცემა იმიტომ უხარიათ, რომ ჩემბერლენმა ინგლისში, ისე, როგორც კრისპიმ იტალიაში, მელინმა—საფრანგეთში, პრინციპებს უღალატა. ჩემბერლენიც იმავსავით ამ ღალატისა და გადადგომის პოლიტიკას ადგა. პრინციპებისა და პარტიების მოღალატეებს ხალხი მომეტებულ ნაწილად ითმენს ხოლმე: ხან და-ხან ამ ნაირ კაცებს, თუ საჭიროა, ემორჩილებიან კიდეც, მაგრამ პატივს კი არას დროს არა სცემენ, სიყვარულით ხომ იმათაც კი არ უყვართ, ვინც ამნაირ მოღალატეების სამსახურით ჰსარგებლობენ. კრისპი თითქმის ოცი წელიწადი იყო იტალიის დიქტატორად. იმისმა საფინანსო პოლიტიკამ იტალია დაღუპა. თავის გუშინდელ პოლიტიკურ მეგობრებს კრისპი სასტიკად სდევნიდა, იტალიაში პოლიცია და საიდუმლო აგენტი გაამეფა; მაძინისა და გარიბალდის დროს ხალხისაგან ბრძოლითა და სისხლით ნაშოვნი კონსტიტუცია დათრგუნა; ვისზედაც-კი რამე ეჭვი მიიტანა, ასობით, თუ არ ათასობით, ადმინისტრაციის წესით წვრილ კუნძულებზე გაჰგზავნა. მაძინისა და გარიბალდის ბაირაღის მოღალატე გამარჯვებული კრისპი ყოვლად ძლიერი გახდა. მაგრამ. როცა-კი დაეცა, ყოვლად ძლიერი მტარვალი მარტოდ-მარტო დარჩა, მხლოდ ყურმოჭრილი ყმები-ღა დაჰრჩნენ ერთგულები.

ასეთივე ბედი ელის ჩემბერლენსაც. ჩემბერლენი წინად რესპუბლიკელი და რადიკალი იყო, მაგრამ თავის პრინციპებს მაშინვე უღალატა, რა წამს გლადსტონმა სამინისტროში ადგილი მისცა. მერე, როცა ირლანდიის საქმის თაობაზე უთანხმოება მოუვიდა

მზადებელ კლასში ეგზამენის დასაჭერად, სადაც ყველა საგნებში ხუთები (5) მიიღო. მოთხოვნილება კი ორივე სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში ერთი და იგივეა.

რუსეთის ქრონიკა

✦ 13 სექტემბერს მოსკოვში გამოვიდა ყველა გაზეთები „კურიერი“-ს, „ნოვოსტი დნია“-სა და „რუს. სლოვო“-ს გარდა.

✦ გომელში ებრაელებზე თავ-დასხმის დროს ერთ სახლის პატრონს კუნინს შესანიშნავი მხნეობა გამოუჩენია. დახვედრია თავის შვილებითურთ გაბრაზებულ ბრბოს, რომელსაც მის სახლში მცხოვრებ ებრაელების აწიოკება უნდოდა, და დაუცავს თავისი მდგმურები, 60 ებრაელი. კუნინი ძლიერ გალახულია თურმე, ბევრი ქვა მოხვედრია ზურგსა, ხელებსა და ფეხებში. სამის დღის განმავლობაში იცავდა ეს ქრისტიანულად თავგანწირული კაცი თავის მდგმურებს და თავის ხარჯით არჩენდა იმათ.

✦ რუსეთის გაზეთებში დაწვრილებითი ცნობებია დაბეჭდილი გომელში მომხდარ უწესოების შესახებ. ბაზარში მომხდარ ჩხუბის დროს ერთი ადგილობრივი ინჟენერი გაულახავთ. ეს რომ შეუტყვიათ მუშებს, წამოსულან ებრაელებზე შურის საძიებლად და ანგრევდნენ გზა-და-გზა ებრაელების დუქნებს და თან ყვიროდნენ, რომ ქრისტიან მდგმურებს დაედგათ სახლების ფანჯრებში ხატები, რათა ამნაირად აეცილებინა თავიდან აწიოკება. მუშები ებრაელებს არ სცემდნენ, მათ ქონებასაც არ იტაცებდნენ, მხოლოდ ამტვრევდნენ ფანჯრებს, კარებს, სარკეებს, სხვა-და-სხვა ნივთებს, გლეჯდნენ ტანსაცმელს და სხვ. ეს რომ გაიგეს სხვა უბნებში ებრაელებმა, შეერთდნენ და შეიარაღებულნი წამოვიდნენ მუშების დასახვედრად. ებრაელებს ბევრი რევოლვერები ჰქონდათ თან. ამ დროს მოსულა ჯარი და გაუშველებია მოჩხუბარნი. ებრაელები სასოწარკვეთილებით იბრძოდნენ, ესროდნენ რევოლვერებს ჯარის-კაცებს. მუშებიც ერთობ გამწარებულნი იყვნენ და ჯარს ძალიან უჭირებდნენ საქმეს. სახლების ფანჯრებიდან და ივნებიდან ესროდნენ თოფს ჯარსა. გაბოროტებული მუშები დაესივნენ ებრაელებსა და ჯარის კაცებს. ამ დროს ორჯელ იგრიალა თოფებმა: სალდათებმა ესროლეს ებრაელებს, შემდეგ მიუბრუნდნენ ქრისტიანებს და იმათაც ესროლეს.

✦ „პრიაზ. კრაი“-ში დაბეჭდილია შემდეგი მოკლე და სულის ამღრევი ამბავი: ადგილობრივ ღარიბ სასტუმროში, ქალაქის განაპირას, პოლიციამ აღმოაჩინა ორი პატარა როსკიპი ქალი, ერთი მათგანი 10 წლისაა, მეორე კი—11-სა. მათთან ვიღაცა მამაკაცები ყოფილან ოთახში და, პოლიციელები რომ დაუნახავთ, სადღაც გაპარულან.

პრესსა

გაზ. „პეტ. ვედ.“-ის თანამშრომელი ეხება გომელში მომხდარ უწესოებას და ამბობს, რომ

> გარეშე ტომის ხალხთა მიმართ მძულვარებას მტკიცედ აქვს გადგმული ფესვი ჩვენს სულში. ეს გრძნობა ქრისტიანულ იდეალის წინააღმდეგი და შემბღალავი გრძნობაა. როგორ შეუძლიათ გონიერად განსაჯონ საქმე იმათ, ვისაც ეს გრძნობა უბრმავებს თვალებს?
>
> სწორედ გასაჭირია ებრაელების შესახებ წერა, ცალმხრივ პოლემიკად გადაიქცევა ხოლმე ყოველთვის, რაჯგან მეორე მხარის ხმის ამოღების ნება არა აქვს და, რასაკვირველია, ამისთანა ბრძოლაში გამარჯვება ადვილია. ჩვენ იმისთანა დროში ვსცხოვრობთ, როცა ხალხის წაქეზება, გაბოროტება ფრიად მავნებელია. ვნებათა ღელვა თვალებს გვიხვევს და გვიშლის დინჯად და მშვიდობიანად ავწონ-დავწონოთ ჩვენი მდგომარეობა.

⁂

„ურალსკ. ჟიზნ“-ის კორესპონდენტი თავმომწონე პატრიოტულად ამაყობს მითი, რომ ქალებიც მზად არიან გამოვიდნენ ჩვენს დროში მამაკაცებთან საკრივოდ. იგი შემდეგ ამბავს სწერს გაზეთში:

> ენერგიული ქალები ჯერ კიდევ არ გამქრალან ჩვენი ცხოვრებიდან. არა ჩვეულებრივი მხნეობა ამას წინად აქ ერთმა ქალმა, ადგილობრივი კლუბის ხაზინადარმა სობოლევმა გამოიჩინა, იგი შეხვედრია ამას წინად ქუჩაში ვიღაც უცნობ კაცს, რომელიც იმ გაზეთის კორესპონდენტი ჰგონებია, სადაც კლუბში მომხდარ ფულების გაფლანგვის შესახებ კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი, მუქარით მუშტი უჩვენებია ამ კაცისათვის, დაუძახნია, როგორ ჰბედავ ჩემზე წერას, „მე შენ გაჩვენებ თვალის სეირსო“! შემდეგ ეტლში ჩამჯდარა და გაუქროლებია შინისკენ.

ეს გულადი ქალი ძველი ამორძელი „ამაზონკა“ ყოფილა, მხოლოდ შეცდომით ჩვენ დროში დაბადებული.

თეატრი

ბათუმის ქალაქის საბჭოს 15 სექტემბერს პირველი კრება ჰქონდა ამ შემოდგომაზე. საბჭომ გადასწყვიტა ბათუმის შემოერთებიდან 25 წლის შესრულების სახსოვრად აგოს ახალი თეატრი. კონკურსის პროექტი უკვე შეუმუშავებიათ ინჟენერებს საზონოვს, პომორსკისა და სიმონსონს. თეატრი უნდა ააშენონ ქალაქის ბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს 1000 კაცისთვის. ელექტრონით უნდა განათდეს. პარტერის გარდა იქნება 60 ლოჟა და დიდი ამფითეატრი, სადაც 350 კაცი დაეტევა. თეატრი 200 ათას მანეთზე მეტი დაჯდება. კონკურსისთვის საბჭომ გადასდო 2700 მანეთი.

—

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ავლაბრის ახალ თეატრშიაც სეზონი „სამშობლო“-თი უნდა დაეწყო, მაგრამ ახალ თეატრს ამისთვის ჯერ დეკორაციები არა აქვს. ამიტომ გადასწყვიტა დასდგას ცაგარლის პიესა: „რაც გინახავს ვეღარ ჰნახავ“ და ვოდევილი. პირველ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ბ-ნი ვ. აბაშიძე, გედევანოვი, აწყურელი და სხვა. პირველ წარმოდგენის რეჟისორობა და დადგმა მიენდო ვასილ აბაშიძეს.

—

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც გადმოგვცეს, ჯერ არ გადაუწყვეტნია, მაგრამ ჰფიქრობს-კი ქუთაისში ერთი ან ორი წარმოდგენა გამართოს თვეში.

მოხსენება ქართულ მწერლობაზე ბერლინის აკადემიაში.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში დაბეჭდილია ბერლინის აკადემიის ანგარიში, რომელშიაც გამოჩენილ პროფესორის ჰარნაკის მოხსენება აღნიშნავს, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიებას უჩნდება ახალი საგანიო. ეს საგანი არის ძველი ქართული და სომხური მწერლობა, რომელიც გერმანიის ძველი კულტურის კვლევისათვის ისე შეკავშირებულია, როგორც მონათესავე ხალხების კულტურის ნაწარმოები.

ჰარნაკმა მოიხსენა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ მარის ანგარიში, იმისი და პრივატ-დოცენტის ჯავახიშვილის მოგზაურობა სინას მთაზე და იერუსალიმს. ბ-ნ მარის ანგარიშიდან სჩანს, რომ ძველ საეკლესიო მწერლობიდან დაშთენილა ქართულ ენაზე ფრიად შესანიშნავი წიგნი პირველ ქრისტიანთა მამათ ცხოვრებიდან, რომელიც შესანიშნავი ერთად-ერთი წიგნია პატრისტიკის მწერლობაში. ზოგი მათგანი ბატონ მარს გამოუცია დედნად ქართულ ენაზე რუსულის თარგმანით.

ამ ჟამად ბატონი ბონვეჩი (Bonvetsch) მუშაობს იპოლიტის ნაწერების გამოცემაზე, რომელიც დარჩენილია ქართულ ენაზე. ბერლინის აკადემიის კომისსიამ მიანდო მღვდელ კარბელაშვილს რუსულად გადათარგმნა; აქედან ბატონი ბონვეჩი გადასთარგმნის გერმანულად.

ჰარნაკი დაასკვნის: მარის გამოკვლევა ცხადად გვაჩვენებს, რომ ქართველობა ეკუთვნის დიდ ბერძენ-ქრისტიან ხალხების ოჯახსა.

ბოლოს ჰარნაკი მოუწოდებს ახალგაზდა მეცნიერებს და კითხულობს: მოიპოვებიან თუ არა გერმანიის მეცნიერებში მოხალისენი, რომ შეისწავლონ ენა, ლიტერატურა და ისტორია ამ ხალხისა, რომელიც ძველის კულტურით ჩვენთან მონათესავეა, და გაგვაცნონ იმათ მიერ შენახული საუნჯეო. ამ გვარად, დასძენს ჰარნაკი, გერმანიის აკადემიას უჩნდება ახალი საგანი სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის.

უ.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

ქალაქის საბჭოს 15 სექტემბრის კრებამ 33 ხმოსანს მოუყარა თავი, რაც ჩვენის საბჭოსთვის იშვიათი მოვლენაა, მაგრამ ამის მიზეზს ქვევით დავინახავთ. ამ დღისათვის დანიშნული იყო გასარჩევად 26 საქმე, რომელთაგან მხოლოდ 8 საქმის განხილვა მოასწრეს.

გოჭოურას სასაფლაოს ეკლესიის სამშენებლო კომიტეტის წევრები სთხოვდნენ ქალაქს, ნება მოგვეცით ეკლესიისთვის საჭირო ქვა უბაჟოთ მოვტეხოთ ეკლარის ქვის მადანშიო. საბჭომ დაადგინა, უფასოდ დაუთმოს ეკლესიას ქვა, მხოლოდ მდგომარე წლის შემოსავალში კი უნდა აღინიშნოს იმისი ფასი.

წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ქუჩების და ტროტუარების მოვლა-შენახვის სავალდებულო დადგენილებათა ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ. უმთავრესი ცვლილება ის არის, რომ შემდეგში ქუჩები, საზოგადოდ, რიყის ქვით მოიკირწყლოს, გარდა ზოგიერთისა, სადაც აუცილებლად საჭიროა გზატკეცილი. წინად-კი ამის წინააღმდეგი იყო. ზოგიერთს, იქმნება, კიდეც გაუკვირდეს ასეთი ცვლილება, მაგრამ ვინც ქუთაისის ქუჩებს იცნობს, დამერწმუნება, რომ გზატკეცილი ქუთაისის ჯიბის საქმე არ არის: არწყულ რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩები გზატკეცილზე უფრო იაფად ჯდება და ზედ სისუფთავის დაცვაც უფრო შესაძლებელია. საბჭომ ეს ცვლილება ხმის უმეტესობით მიიღო. მეორე ცვლილება შეეხება სისუფთავის დაცვას. სავალდებულო დადგენილების ძალით, მამულის პატრონი ვალდებული იყო, კვირაში ორჯელ მაინც გაეწმინდა მისი ხვედრი ქუჩა,—თუმცა თვეში ერთხელაც არა სწმენდდა; ეხლა ქალაქის გამგეობა თხოულობდა, რომ ქუჩები ყოველ დღეს დასუფთავებულიყო. ამ საკითხზე დაუსრულებელი კამათი ასტყდა: „ქუჩები რომ ყოველ დღეს გასუფთაოთ, დავიღუპებითო“, ამტკიცებდა ერთი ხმოსანი, „ქუჩების ყოველდღიური დასუფთავება მხოლოდ მაშინ შეიძლება შემოვიღოთ, როდესაც ქუთაისში ნახევარი მილიონი მცხოვრები იქმნება და ხუთი მილიონი მანეთი შემოსავალიო“! ექიმებმა და განსაკუთრებით ს. ბ. თოფურიამ ბევრი უმტკიცეს საბჭოს სისუფთავის მნიშვნელობა, მაგრამ საბჭომ ხმის დიდი უმრავლესობით დაადგინა, ისევ ძველი წესი დარჩეს, ე. ი. ყოველი სიბინძურე ქუჩებზე იყრებოდეს და კაცმა ხელი არ ახლოსო!

საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება რკინის გზის მმართველობის წინადადების შესახებ. რკინის გზა სთხოვდა ქალაქს, მიეყიდნა სადგურის აგარაკში ქუთაისიდან მესამე და მეოთხე ვერსზე ერთ დესეტინაზე ცოტა ნაკლები

გლადსტონთან და მინისტრის ადგილი დაეკარგა, ბევრი აღარ იფიქრა და კონსერვატორებს ვაჭრობა დაუწყო, თქვენს კაბინეტში მინისტრობა მომეცით, ლიბერალებს გადუდგები, ოციოდე დეპუტატს კიდევ მოვაშორებ და თქვენ მოგემხრობითო. რასაკვირველია, ამ დეპუტატებისთვისაც კარგი სარფა და თვალ-საჩინო ადგილები ითხოვა. თავხედობამდე გამბედავი, ანგარიშიანის მზაკვარებით სავსე, ჩემბერლენი არც ცილისწამებას ერიდება, არც განზრახ შეთხზულ ტყუილს. ყველას ახსოვს, პარლამენტსა და საარჩევნო მანიფესტებში თუ კრებებზე რა რიხიანად აცხადებდა, რომ ომი გათავებულიაო; ამავე დროს კი თითონ ჩემბერლენი და იმისი ამხანაგები ყოველ ღონესა ღონობდნენ, რომ დამარცხებულ ჯარისათვის მაშველი რაზმები გაეგზავნათ. ამის შემდეგ ინგლისის ჯარი კიდევ მთელი ორი წელიწადი ამაოდ სდევნიდა დევეტსა, ბოტასა და დელარეის. ყველას ახსოვს ისიც, რომ ჩემბერლენი ხალხს არწმუნებდა, ინგლისის ლიბერალური პარტია ინგლისის მტერი გახდა და სამშობლოს მტრების მხარეს გადავიდაო. ორის კვირის წინად ჩემბერლენმა საჯაროდ განზრახ ტყუილი ბრალი დასდო თავისუფალ ვაჭრობის მომხრე კობდენის კლუბს: ეს კლუბი უცხოელების დაწესებულებაა და მარტო ამიტომ უკავს თავისუფალ ვაჭრობასა და ფრიტრეიდერების (თავისუფალ ვაჭრობის) ტრადიციასაო. მაგრამ აქ კი მრავალის საბუთით გაამტყუნეს. კლუბის მდივანმა წერილი დაბეჭდა, კლუბის ნამდვილ წევრებში უცხოელები არავინ ურევია, თითონ ჩემბერლენი კლუბის წევრად იყო და მერე კლუბის ნადიმის დროს თავმჯდომარედაც იყო არჩეული; განა კლუბის დანარჩენი წევრები, რაკი თავიანთი პრინციპები არ გაჰყიდეს და თავიანთ სამშობლოს არსებით ინტერესებს არ უღალატეს, ამიტომ უცხოელები გახდნენო. მაგრამ ყველა რენეგატივით (გადამდგარივით) ჩემბერლენსაც როდი რცხვენია გალანძღვისა: რაც უნდა ძლიერა ჰლანძღონ, არად აგდებს: ამ ყურს, თუ იმ ყურსაო. აკი ამ წერილმაც ვერ შეაშინა. მაგრამ სხვა, ამაზე უფრო ცუდი, შესარცხვენი ამბები მოხდა.

ამბობენ, ჩემბერლენის დამქაშებმა ინგლისი მილიონ ბროშიურითა და ფურცლით გაავსესო. ეს ბროშიურები და ფურცლები თავისუფალ ვაჭრობის წინააღმდეგ იყო გამოცემული; ავტორები ამტკიცებდნენ, პურსა და სხვა სანოვაგეს ბაჟი უნდა დაედოსო. თუ მილიონობით არა, მაინც დიდ ძალი ბროშიურა და ფურცელი გამოსცეს. ჩემბერლენის ლოცვა კურთხევითა და იმის საკუთარ სიტყვებით ხალხს არწმუნებდნენ, მუშა ხალხი პროტექციონიზმისა (ბაჟების დადებისა) და პურის ბაჟის მომხრეაო. და აი სწორედ ამ დროს $^{1}/_{2}$ მილიონ მუშის კონგრესი ერთხმად ჰგმობს ჩემბერლენის პროექტს და ამით მტკიცდება. რომ ჩემბერლენს აქაც სიმართლე დაემახინჯებინა. ტრედ-უნიონების შემდეგ ორმა მილიონმა კოოპერატორმაც ამოიღო ხმა; ამავე დროს სამს დამატებით არჩევანში მთავრობამ სამი ადგილი დაჰკარგა. ხალხი ყველგან და ყოველთვის აცხადებდა, ინგლისის ერი მფარველობით ბაჟების მტერია და წინააღმდეგია, რომ მუშა ხალხის საჭმელს ბაჟები დაედოსო.

მინისტრები ძალა-უნებურად დაფიქრდნენ, ადგილები არ წაგვერთვასო, კონსერვატორებსაც თავიანთ პარტიის დამარცხებისა შეშინდათ. მინისტრების უმეტესობა ჩემბერლენის პროექტის წინააღმდეგი იყო; საზოგადოებამაც დაჰგმო ჩემბერლენის ცრუ და თავხედი ტაქტიკა. თვით კონსერვატორების გაზეთმა „სტანდარტ“-მა ვეღარ მოითმინა და ჩემბერლენის პროექტს „უდიდეს პოლიტიკურ შეცდომის“ სახელი უწოდა. „ეს პროექტი უსათუოდ დაჰღუპავს კონსერვატორების პარტიასაო“. მეტი ჩარა არ იყო, ამაყი, მედიდური და თავხედი მინისტრი სამსახურიდან უნდა გადამდგარიყო, მაგრამ აქაც კი ჯერ მინისტრებს ეჩარჩა. იმ პირობით გადადგა, რომ იმასთან ერთად სამინისტროდან თავისუფალ ვაჭრობის მედგარი დამცველი ფინანსთა მინისტრი რიჩი და ინდოეთის საქმეთა მინისტრი ლორდ გამილტონიც გასულიყვნენ, იმის შვილისათვის უფრო მნიშვნელოვან მინისტრის პორტფელი ჩაებარებინათ და ტრანსვაალის ჯალათი ლორდ მილნერი სამინისტროს წევრად გაეხადათ. მართლაც, ჩემბერლენის გარდა, კიდევ ორი მინისტრი, რიჩი და გამილტონი, გადადგნენ სამსახურიდან. ამბობენ, ჩემბერლენის შვილს ფინანსთა მინისტრობას მისცემენ და მილნერსაც სამინისტროში მიიღებენო. ასე რომ სამსახურიდან გადადგომის შემდეგაც ჩემბერლენი კიდევ სამინისტროს ბატონი იქნება, რადგან იქ მორჩილი აგენტები ეყოლება: თავისი შვილი და ლორდ მილნერი. მილნერი ხომ ჩემბერლენმა აქცია კაცად. ამავე დროს ჩემბერლენი იმუქრება, დიდ აგიტაციას გავმართავ, ხალხს ავაღელვებ, ყველას, ვისაც მომხვდება, ცილს დავწამებ და ჩემსას გავიტანო. გულუბრყვილო ხალხი წინადვე კანკალებს შიშისაგან; ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს ეშინიან ჩემბერლენის მომავალ აგიტაციისა. ეს შიში არც თუ უსაფუძვლოა.

ძლევა მოსილ მოღალატე რენეგატს დაცემის დროსაც ბევრი ზარალის მოტანა შეუძლიან. მაგრამ ეხლა, რაც უნდა მქნას, ვინც უნდა დასცეს და გასრისოს,—ჩემბერლენი მაინც ქვევით მიექანება, დაცემის გზას ადგა და არა ამაღლებისა და დიდების გზასა.

ბურების ცოდვა არ შერჩა ჩემბერლენს: მრავალ დაღუპულ ბავშვისა და ქალის ცოდვა დაუდგრომლად დაეწევა და უფსკრულისაკენ მიაქანებს მტაცებელ მინისტრს... მაგრამ ისტორია არას დროს არ დაივიწყებს, რომ ამისმა მტაცებლობამ ათას უდანაშაულო ბავშვისა და ქალის სიცოცხლე შეიწირა მსხვერპლად.

ლონდონელი

18/5 სექტემბერი.

(გაგრძელება იქნება)

ადგილი რკინის გზის დაინდაგისათვის, 600 მანეთის ანგარიშით დესეტინა, გ. ი. ოთხკუთხი საჟენი ხუთ შაურად. საბჭომ კი დაადგინა: მთხოვოს რკინის გზას მესამე ვერსზე თითო ოთხკუთხ საჟენში ორ-ორი მანეთი და მეოთხე ვერსზე—თითო მანეთი. თუმცა განსხვავება დიდია, მაგრამ ფასი კი არაა მაინც-და-მაინც დიდი.

ბედი საქმე მოუგიათ ქუთაისურ ყასბებს: „ყელს გლეჯს შეკიდვე და წელს გამოდებს მაინც დაგრეხებაო", გაუგრძიათ და საბჭოს წარსულ სხდომაზე ითხოვეს ხორცზე ნიხრის მომატება, უთუოდ იმ აზრით, რომ არსებული ნიხრი დარჩენილიყო. გამგეობამ შეჰკრიბა ცნობები და დარწმუნდა, რომ ნიხრის მომატება კი არა, დაკლება იყო საჭირო. წარსულ სხდომაზე სხვა ადგილობრივი შეიძლებოდა და უფრთხილდებოთ დასტოვეს ყასბების თხოვნა. ეხლა კი, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, თითო კაპეიკი დაუკლეს გირვანქა ხორცის ფასს. ამგვარად, მსუქანი საქონლის 1 ხარისხის ხორცს დაუდეს 9 კაპეიკი გირვანქას, 2 ხარისხისას—8 კპ., ადგილობრივ საქონლის პირველი ხარისხისას—7 კპ.; 2 ხარისხისას—6 კაპეიკი; ძუძუმწოვარ ხბოს ხორცი—11 კაპეიკი; ცხვრისა და მოზრდილ ხბოს ხორცი—9 კპ., სუკი გირვანქა—15 კპ.; ღორის ხორცი—9 კპ., კამეჩისა—6 კპ.

ქალაქის ხაზინადრად ნამყოფი ი. ი. ჭილაძე სთხოვდა საბჭოს დაენიშნა იმისთვის პენსიად 27 წლის სამსახურისთვის ჯამაგირის ნახევარი. ე. ი. 400 მანეთი. კენჭის ყრით საბჭომ შეიწყნარა თხოვნა.

წაკითხულ იქმნა ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი და შიგ-ქვეყ მრეწველთა საბჭოსაგან შესწორებული პროექტი შესახებ იმისა, თუ რა პირობებით უნდა აგოს ქალაქმა და მრეწველთა საბჭომ საზიარო ქიმიური ლაბორატორია. თანახმად მ. გ. დარახველიძის წინადადებისა, საბჭომ ამოარჩია კომისია, რომელმაც მომავალ შაბათამდის უნდა განიხილოს პროექტი და თვისი აზრი წარუდგინოს საბჭოს მომავალ 22 სექტემბერს. კომისიაში აარჩიეს: ა. ს. საყვარელიძე, ზ. კ. მაჭავარიანი, დ. ნ. აბდუშელიშვილი, ს. ბ. თოფურია და თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე.

დასასრულ, არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიის წევრებად: დ. ბ. მდივანი (20 თეთრი 2 შავი); გ. დ. ქორქაშვილი (21 თეთრი, 1 შავი) და გ. ი. ჭილაძე (24 თეთრი 1 შავი). კომისიამ უნდა განიხილოს 1902 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში.

დონ-გილიანი.

დაბა-სოფლები

სოფ. ძოლობანი (ქვემო იმერეთი). აქ არის ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც სწავლობს 60 ბავშვი. სკოლის დაარსების დღიდან ხალხს დღითი-დღე ემატება სურვილი ბავშვების აღზრდისა. ყოველ წელს აურაცხელი ბავშვი იკრიბება სკოლაში შესასვლელად, მაგრამ, ადგილის სიმცირის გამო, ბევრი თვალცრემლიანი ბრუნდება. ამისათვის დაინახა ხალხმა საჭიროდ ერთ-კლასიან სკოლის გადაკეთება ორკლასიანად. 1902 წელს მოიყარეს თავი ძოლობნისა, გეზათისა და გუგუნავათ მცხოვრებთ, შეადგინეს განაჩენი და გააგზავნეს თხოვნა. აგერ მეორე წელიწადი დადგა და პასუხი ჯერაც არ არის.

ა. ძოლობნელი.

ხნარი (იმერეთი). ამ სამის თვის წინად ხნარის მცხოვრებლებმა ითხოვეს ფოსტის განყოფილების დაარსება და წარადგინეს კიდეც ორას ოცდა ხუთი მანეთი. დღეს მაზრის უფროსი იუწყება, უმაღლესი მთავრობა გვწერს, დაუარსებთ განყოფილებას, მაგრამ თქვენ მიერ წარმოდგენილი ფული არა კმარა. უნდა ოთხას მანეთად შეავსოთ და სამის წლით ოთხი ოთახი მისცეთ ფოსტის განყოფილებისათ. დაბის მზრუნველნი გუშინ შეუდგნენ სახლის ძებნას ფოსტისათვის და საჭირო ფულის შეკრებას.

გვიხლოვდება მამასახლისის არჩევნ. ხალხი ფაცი-ფუცშია. ყველას უნდა თავის სოფლიდან აირჩიოს მამასახლისად და ვნახოთ, რომელი მხარე გაიმარჯვებს.

არტემ ფიფინაშვილი.

კასპი (ქართლი). როგორც „ცნობის ფურცელის" მკითხველებს მოეხსენებათ, კასპსა და ქსნის სადგურს შუა ნახევარ სადგური, სადაც მგზავრებს შეუძლიათ მისვლა-მოსვლა აქა-იქ სოფლებში. მტკვარ გაღმა გასასვლელად-კი იქვე სადგურთან მოქმედებს ნავი. მაგრამ ვიდრე ამ ნავამდის მიხვიდოდე, უნდა ფოთხვით ერთს 3 საჟენზე მაინც ჩახვიდე ძირს და მერე ნავში ჩაჯდე. თუ ამ ფოთხვაში ფეხი როგორმე აგიცდა, მდინარის მსხვერპლი გახდები. ნავთან შემაერთებელი ხიდიც არ არის, მხოლოდ რამდენიმე ფიცარია გადებული და ისე ირწევა, რომ ამაზედაც სახიფათოა შედგომა. აი, ამას წინადაც ამ ფიცრებმა კინაღამ იმსხვერპლეს ქვიათხევიდან მომავალი მღვდელი აღ. ჩიგაძე: ამ ფიცრებზე ვერ შემაგრდა, გადმოვარდა იქიდან, დაეცა ქვებზე და კიდეც დაშავდა. სხვა უბედურების ასაცდენად კარგი იქნება, რომ ამ ნავის პატრონებმა მოაგვარონ როგორმე საქმე, ან ადმინისტრაციამ მაინც დაატანოს ძალა, თუ ესენი არ ინდომებენ თვიანთ საქმის მოგვარებას.

მგზავრი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი

პორტ-არტური. „ნოვი კრაი" იუწყება, შორეულ აღმოსავლეთის მთავარ-მართებელმა შემდეგ საგნების განხილვა დაავალა იმ კომისიას, რომელმაც 10 სექტემბერს მთავარ-მართებლის თავმჯდომარეობით დაიწყო მუშაობა. 1) ოლქების მმართველობა დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ ეს მმართველობა კანონებსა და სახელმწიფოს საზოგადო წყობილებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს; 2) ზღვის პირის ოლქი ცალკე ოლქად უნდა იყოს, იმისათვის, რომ ამ ოლქის სიმდიდრე სხვა-და-სხვა მტაცებლებმა არ გააოხრონ; 3) გადასახლების საქმე რიგზე მოეწყოს; 4) ჩინეთის რკინის გზასთან წესიერი ურთიერთობა მოეწყოს; ყველა ხელშეკრულობა უნდა სრულდებოდეს; რკინის გზის გასწვრივ დასახლებულთა უზრუნველყოფა. 5) სამხედრო კომისარებისა და დიპლომატიურ მოხელეთა მოქმედება შეერთდეს; 6) საპყრობილეთა საქმე რიგზე მოეწყოს; 7) მთა-მადანი მტაცებელთა ათხრებას უნდა გადაარჩინონ; 8) შორეულ აღმოსავლეთისათვის ცალკე სამოსწავლო ოლქი დაწესდეს და საზოგადოთ აქაური მმართველობა გამარტივდეს.

სოფია. პირველმა მინისტრმა სოფიაში მცხოვრებ მაკედონიელების დეპუტაცია მიიღო. დეპუტაციამ ჰკითხა პირველ მინისტრს, ბოლგარიის მთავრობა რა ნაირად მოიქცევა მაკედონიის საქმეშიო. პირველმა მინისტრმა უპასუხა, ბოლგარიაში არც ერთ მთავრობას არ თანაუგრძნია მაკედონიელებისა და ადრიანოპოლელებისათვის ისე, როგორც ეხლანდელი მთავრობა თანაუგრძნობსო. მთავრობის პოლიტიკა არ გამოცვლილა: მთავრობა ყოველთვის ცდილობდა ოსმალეთთან მეგობრულ განწყობილებაში ყოფილიყო და ყველა ძველი საქმე შეთანხმებით გაეთავებინა. თავის მოძმეთა ინტერესებს მაკედონიასა და ადრიანოპოლში მთავრობა ისე უცქერის, როგორც თავის საკუთარს, მაგრამ ბოლგარიის არსებით ინტერესებს კი განსაცდელში არ ჩააგდებს; მართალია, ძლიერ თანავუგრძნობთ ჩვენ მაკედონიელ თანამოძმეთ, მოვალენიცა ვართ დახმარება გავუწიოთ, მაგრამ ბოლგარიის უშიშროება ბოლგარიის ყოველ მთავრობისათვის მაღლა უნდა იდგეს ამ თანაგრძნობისა და მოვალეობაზე.

ლონდონი. რუსეთის ელჩი ბარონი როზენი ტოკიოდან პორტ არტურში წავიდა და მთავარ მართებელს იაპონიის წინადადებაზე ეთათბირა. ელჩი პეტერბურგიდან მიღებულ ბძანების თანახმად წასულა პორტ-არტურში. ბარონი როზენი, ალბად, 21 სექტემბერს დაბრუნდება ტოკიოში, რის შემდეგაც, როგორც ამბობენ, რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებაც დასრულდებაო.

ვენა. ხელმწიფე იმპერატორის დახვედრის დროს დასავლეთ ვოგზალზე, ერც-ჰერცოგი ოტონი გრაფ იკსკულის მაგიერ კორპუსის უფროსის მოვალეობის შეასრულებს; გრაფ იკსკულ-კი მის უდიდებულესობას ახლდება.

პორტ არტური. ჩინური გაზეთები იუწყებიან, კალგანში ჩაით მოვაჭრეებმა ფუდუტუნს სთხოვეს, საქარავნო გზა კარგად დაიცვეთ ხუნხუზებისაგანო.—იაპონიის გაზეთები სწერენ, სასურველია, რომ იაპონიის სკოლებში რუსული ენა ისწავლებოდესო.— „ნოვი კრაი" მეოთხე ხაბაროვსკის კრების დახურვას აღნიშნავს და ამბობს, შორეულ აღმოსავლეთის ოლქს ვერც მთა-მადნის სიმდიდრე, ვერც მრეწველობის განვითარება ვერ მოუტანს იმდენს სარგებლობას, რამდენის მოტანაც ხალხის რიგზე დასახლებას შეუძლიაო. შინაგანი თუ გარეშე პოლიტიკა თხოულობს, რომ საზღვრის ოლქებში რუსის ხალხი დავასახლოთო.

ბუდაპეშტი. პირველმა მინისტრმა გრაფ კუენმა იმპერატორს დეპეშით თხოვნა გაუგზავნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

მიურცშტეგი იმპერატორისა და იმის დიდებულ სტუმრების დასახვედრად ემზადება. მაღალ მთებ შუა გაშენებულ ლამაზ სოფელში ორი კამარა აგეს; სახლები მდიდრულად მორთეს. იმპერატორის სანადირო სასახლეში ყველაფერი დაამზადეს მათ უდიდებულესობის მისაღებათ. მეორე სართულში ოთახებია დამზადებული ორსავე იმპერატორისა და ერც ჰერცოგ ფრანც-ფერდინანდისათვის. სანადირო ციხე-დარბაზში დადგებიან ხელმწიფე-იმპერატორის ამალა, მეორე ობერ-ჰოფმეისტერი თავადი მონტენუოვო, გენერალ-ადიუტანტი პაარი, გრაფი კაპნისტი და იმპერატორების ლეიბ-მედიკები. გრაფ ლამზდორფსა და გრაფ გოლუხოვსკის ბინა შვეიცარიულ გემოზე აშენებულ შენობის ვილაში დაუმზადეს. კორპუსის უფროსი იქსკული და ელჩი ერენტალი სატყეო მმართველობის შენობაში ჩამოხტებიან. სანადირო ციხე-დარბაზის და უმთავრეს ქუჩის გასანათებლად საგანგებოდ სპირტის ლამპები დადგეს. მათი უდიდებულესობანი 17 სექტემბერს საღამოს მოვლენ, შემდეგ ციხე-დარბაზში სადილს მიირთმევენ და საღამოზე ჩაის. ხუთშაბათსა და პარასკევს მშვლებზე ინადირებენ, შაბათს დილით ირმებზე, მერე ისაუზმებენ და წავლენ.

18 სექტემბერი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ."-ში დაბეჭდილია: „ხელმწიფე-იმპერატორი 17 სექტემბერს მობრძანდა ვენაში. სადგურზე მის უდიდებულესობას დახვდნენ იმპერატორი ფრანც-იოსები და ერც-ჰერცოგები. სადგურიდან მათი უდიდებულესობანი ეტლებით შენბრუნის სასახლეში წაბრძანდნენ, სადაც საგანგებო საუზმე გაიმართა. ნაშუადღევის 2 საათსა და 35 წუთზე მათი უდიდებულესობანი ავსტრიის საიმპერატორო მატარებლით სანადიროთ წავიდნენ მიურცშტეგში, სადაც საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე მივიდნენ."

კონსტანტინეპოლი. იმ ადგილებში, სადაც ჯარმა და ბაშიბუზუკებმა უწესოებანი ჩაიდინეს, სამხედრო სასამართლონი საქმეების გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას შეუდგნენ.—პორტას გუშინ სხვა-და-სხვა დიპლომატებმა ურჩიეს ძალ-მომრეობის მოსპობის შესახებ, რადგან ამ საქმეს სჩადიან ალბანელი რედიფები და მეორე კლასის რედიფები. ურჩევენ, რედიფები სამსახურიდან დაითხოვოს. ხილმი-ფაშამ და პორტამ არა ერთხელ სთხოვეს სულთანს, მაგრამ იგი იგვიანებს. ამ საქმის განხორციელება ძნელი არ არის: დათხოვნილთა მაგიერ შეიძლება დაინიშნენ მცირე აზიის რედიფები, რომელნიც ეხლა სათადარიგო ჯარში ირიცხებიან.

ბერლინი. პროფესორი რუდოლფ ფალბი, რომელიც ცნობილი იყო იმით, რომ ამინდის შესახებ წინასწარმეტყველებდა, 16 სექტემბერს გარდაიცვალა ბერლინს მახლობლად, შენებერგში.

პარიზი. საფრანგეთის რეზიდენტი ტუნისში პიშონი თავს ანებებს თანამდებობას, რადგან არ თანაუგრძნობს კონგრეგაციების დახურვას ტუნისში. მისის აზრით, კონგრეგაციების საქმეს, რომ საფრანგეთს ტუნისში ასე დიდი გავლენა აქვს.

ბუდაპეშტი. სამინისტროს დამარცხებამ 16 სექტემბერის სხდომაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაფერი მოხდა ფორმალურ წინადადების გამო: ფრანც კოშუტმა ითხოვა სხდომის დანიშვნა გრაფ კუენის განმარტების განსახილველად. ოპოზიციის ყველა პარტიებმა მხარი მისცეს კოშუტის პარტიას და უმრავლესობაც შესდგა. 17 სექტემბრის სხდომაზე ჰედერვარიმ განაცხადა, რომ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანა, და ამიტომ ითხოვა სხდომის გადადება ახალ სამინისტროს შედგენამდე. ამ განცხადების შემდეგ პირველი მინისტრი წამოდგა და სხვა მინისტრებთან ერთად დარბაზიდან გავიდა.

ანტივარი. დაიწყო საერთაშორისო სამართლის კონგრესი.

სოფია. 16 სექტემბრიდან მინისტრთა საბჭო ადგენს ინსტრუქციას ნაჩევიჩის სახელმძღვანელოდ კონსტანტინეპოლში. პირველ მინისტრმა შესჩივლა ოსმალეთის კომისარს იმის გამო, რომ ოსმალეთი განაგრძობს ჯარების გაძლიერებას საზღვარზე. კომისარმა განუცხადა, რომ მონასტირის ვილაეტიდან ჯარების გადმოყვანა ადრიანოპოლის ვილაიეტში შეჩერებულიაო.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. პრეზიდენტმა გრაფმა აპპონიმ განაცხადა, სამინისტროს გადადგომა სხდომის დახურვის საბაბად ვერ გახდებაო. დასების მეთაურებმა თავიანთი აზრი გამოსთქვეს. ფონ-კერბერის განცხადების გამო კუბინიმა სთქვა, რომ სალიბერალო დასი მხარს არ დაუჭერს კაბინეტს, რადგან ამ კაბინეტს არ მიენდო შესაფერად შეუცვლოს განცხადებანი კერბერისა, რომელიც უნგრეთის უფლებებს არღვევსო. პალატამ სხდომა ახალ კაბინეტის შედგენამდე გადასდო.

ნიურინბერგი. ხელმწიფე-იმპერატორმა 16 სექტემბერს, გზად გავლის დროს, სადგურზე მიიღო მისის სახელის ცხენოსანთა რაზმის დეპუტაცია.

ვენა. ხელმწიფე იმპერატორი მოვიდა დიდის ამალით მშვენივრად მორთულს დასავლეთის სადგურზე, სადაც მის უდიდებულესობას დახვდნენ იმპერატორი, ერც-ჰერცოგები, რუსეთის საელჩოს წევრნი, ბარონი ერენტალი და სხვანი. მის უდიდებულესობის დასახვედრად მოვიდნენ რუსეთის ელჩი და ამალაში დანიშნულნი. სადგურზე იდგა საპატიო დარაჯი მუსიკითა და დროშებით, ერც-ჰერცოგის ოტტონის უფროსობით. ის ერცჰერცოგები, რომელნიც რუსეთის რაზმების შეფებად არიან, რუსულ მუნდირებსა და ორდენებში იყვნენ. მატარებლის მოსვლისას, გაისმა რუსული ჰიმნი. შეხვედრა მეტად გულითადი იყო. ავსტრიის იმპერატორი რუსეთის კექსჰოლმის რაზმის მუნდირში იყო, ხოლო იმპერატორი—ავსტრიის ულანის რაზმის მუნდირში. იმპერატორებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ორჯელ გადაჰკოცნეს და საპატიო დარაჯის წინ დადგნენ. შემდეგ ერც-ჰერცოგების წარდგენა მოხდა. მერე იმპერატორები შენბრუნში წავიდნენ. გზაში ყველგან ჯარი იყო გამწკრივებული. დიდ-ძალი ხალხი იყო გამოსული ქუჩებზე და დიდის ოვაციით შეჰხვდა იმპერატორსა და მაღალ სტუმარს. შენბრუნის სასახლეში მისვლას დასცალეს ზარბაზნები. სასახლეში დახვდნენ ხელმწიფეს მაღალი პირები, ერცჰერცოგები, გრაფი გოლუხოვსკი, კერბერი, სხვა მინისტრები და შტაბის უფროსი.

მიურცშტეგი. მობრძანდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ავსტრიის იმპერატორი და ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი სანადიროთ დაპატიჟებული პირები. ხალხი აღტაცებით მიეგება მაღალ სტუმრებს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

ბასხალებანი
ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება [illegible] სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიის, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ იღებულობს. (0—224)

კბილები
და მათი მოვლა შენახვა
საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.
იყიდება:
ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კონტორაში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. (5—6.—5)